



მეცნიერება

№ 23-24

№ 23—24

1883—1906 წ.

30 დეკემბერი.

ზ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განყოფილება: 25 დეკემბერი 1906 წ. დეკ. დ. ღამაშვილის.—შესანიშნავი ანგარიში უმაღლესად დადგენილი კომისიისა.—მწარე ფიქრები. სოფლის ზეცისა.—არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში.—სამღვდლოების საყურადღებოდ. მღ. ნესტორ აბესაძის.—ვარსკვლავი წმიდა სიყვარულისა (ლეჟი), ბაღის ქუჩელის.—ეკიმთა საზოგადოება.—წ.-კ. საზოგადოების წლიური კრება. ბიბლიოგრაფიული შენიშვნა. ყურანი მუჰამადისა, პირველად გამოცემული; თარგ. პ. მირიანაშვილის.—მეცნიერ კაცთა გონების საღაროდან.—ქურნალ-გაზეთებიდან.—წერილი რედაქციის მიმართ, მღ. ალ. შარაბიძის.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მცენიარება ძრისტიანობაში სარწმუნოებასა და ძმობილ-წმობაზე: წმიდა იყვან სახელი შენი.—მოვედინ სუფევა შენი. ი. ბალუევის.—განცხადებანი.

25 დეკემბერი 1906 წ.

დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა.

1906 წელიწადმა განვლო მას აქეთ რაც ეს შესანიშნავი სიტყვები გაისმა. 25 დეკემბერს დაბადებულმა დააყმარა მაღალთა შინა დიდება ღმერთისა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა. მთელს დედამიწაზე, სადაც-კი განათლებული ხალხი არსებობს, ყველას საქრისტიანო ცივილიზაცია აქვს. 25 დეკემბერს დაბადებულის მოძღვრება უმაღლეს ზნეობრივ ქეშმარიტებად აქვსთ აღიარებული. ეს ზნეობრივი ქეშმარიტება აღმთავრის სულიერ განვითარების და საზოგადოებრივ ცხოვრების ძირითად კანონად არის ცნობილი. ამას მტკიცედ აღიარებს ამერიკის და ევროპის მთელი განათლებული ხალხი. ამასვე აღიარებს აზიისა და დედა-მიწის სხვა კუთხეების ხალხიც, რომელთა შორის განათლება შეუშუქებულა, მაგრამ ეს არა სწავით ზოგიერთ ჩვენ მწერლებს, რომელნიც თავის ვინაობის გამოცხადებას ჯერეთ ვერც-კი ზედენ! ან კი რა უნდა მოვსთხოვოთ ისეთ მწერლებს, რომელთაც ქრისტეს დაბადებამდის ხალხის ცხოვრების და მათი

ზნეობრივი მდგომარეობის ძლიერ ცოტა გაუგონიათ. როგორ მოვსთხოვოთ მათ ძველი დროის ხალხის ცხოვრების ცოდნას, როცა დღევანდელი ხალხის ზნეობრივი ცხოვრებისაც ცოტა იციან!..

უარის ყოფა ღვთისა და მის მართლ-მსაჯულებისა, უარის-ყოფა ქრისტეს მცნებათა და სახარების მოძღვრებათა იმისათვის, რომ დღეს ჩვენს სახელმწიფოში არსებობენ საველე სამსჯავროები და ზშირად იღვრება სისხლი ბრალიან და უბრალოთ სრულებით არავითარ საფუძველს არ გვაძლევენ ამ უარ-ყოფისათვის. არავის გაუგონია და არც არავის უნახავს ისეთი დედა, რომ შეუწყუხებლად შვილი დაბადებოდეს. მაგრამ ეს მსუხარება არც-ერთ დედას და აძლევს ნებას კაცთა გამჩენის უარის ყოფაზე. წინააღმდეგ გაქირვების დროს დედანი ისევე სარწმუნოებით ღმერთს სთხოვენ შვილას და შემწეობას და ზშირად მათი თხოვნა სარწმუნოებისამებრ სრულდება...

დეკ. დ. ღამაშვიძე.





შესანიშნავი ანბარიში უმაღლესად დადგენილის კომისიისა

უწმიდეს სინოდთან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიზის აღდგენისა და კავკასიაში საეკლესიო საქმეთა მოწესრიგების შესახებ.

ჩვენმა საზოგადოებამ კარგათ იცის, რომ, წარსული წლის ნოემბრის თვეში საქართველოდან იყო დაბარებული უწმიდესი სინოდისაგან, შონაწილობის მისალმად საქართველოს საეკლესიო საქმეთა მოსაწესრიგებელ კომისიაში ყოვლად სამღვდელოების კოპოსი იმერეთისა ლეონიდი და ამავე მიზნით იყო დაბარებული ეპისკოპოსი კირიონიცი. საზოგადოებამ არაფერი არ იცოდა თუ როგორ დასარტყლა ამ კომისიამ საქართველოს მღვდელთმთავრებისაგან აღძრული კითხვები, მხოლოდ ამ მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში შეერთებულ თუ რა გზას დაადგა სინოდი საქართველოს ეკლესიის მმართველად გამოცხადების შესახებ და რა გადაწყვეტა. «მწყემსი»-ს მე-18 ნომერში დაწვრილებით მოვიყვანეთ ანგარიში სინოდის გარდაწყვეტილებისა, გაზეთების და ჩვენი აზრი ამ გადაწყვეტილების შესახებ. როგორც იციან მკითხველებმა ხელმოწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა, რომ საქართველოს ავტოკეფალია აღდგინების საქმის გადაწყვეტა გარდაცეს რუსეთის საეკლესიო კრებასო. მაგრამ სინოდმა ამ კითხვის გარდაწყვეტამდე დაადგინა: სრული უფლების მინიჭება იმერეთის, მეგრეთის და სუხუმის ეპისკოპოსებისათვის. მიანიჭა აგრეთვე უფლება მღვდელთმთავრებს აირჩიონ სამი მღვდელი, რომელთა შემწეობით უნდა იმართებოდეს ხსენებული ეპარქიები, ხოლო სინოდალნი კანტორა უნდა გადაეკეთდეს კონსისტორიად და კონსისტორია მართავდეს დანარჩენი ეპარქიების დიდ საქმეებს. კანტორა, რომელიც ბევრად მაღლა ირიცხება კონსისტორიებზე, უნდა დაეკუთვნოს და კონსისტორიამ დაიკავოს მისი ადგილი, რომელ დაწესებულებასაც ყველგან ეძღურა. სინოდის დადგენილება, 18 იანვრიდან, ძლივს მერვე დღეზე გამოცხადდა, სწორეთ იმ დროს, როცა რეაქციამ გაიმარჯვა... მღვდელთმთავრებიც დააკმაყოფილეს და საქმეც გაკეთდა! სარწმუნოების განსამტკიცებლად საჭიროდ დაინახეს მღვდელთმთავრების თვითმწყობადობა და სამი მღვდლის დანიშვნა ეპარქიების საქმის სამართავად სინოდმა

თავისი განკარგულება გამოაქვეყნა, მაგრამ მოსამსახურეთა პირების უფლებაზე და ჯამაგირებზე სრულებით არა იყო რა ნათქვამი. ზოგიერთები ამბობდნენ, რომ სამი არჩეული მღვდელი მღვდელთმთავრებისაგან სარწოს და ჯამაგირებს საკურთხეი კაცებისაგან მიიღებენო!.. ამავე სინოდის კანტორა შეეცოხა სინოდს და ჯერეთ პასუხი არ მიღებულა. — ამბობენ ესლა სჯიან ამ საქმეზეო...

მღვდელთმთავრები ლეონიდი და კირიონი, რომელიც სოხუმის ეპარქიაში გადმოიყვანეს, მოვიდნენ და საქმე ამით გვევონა ვათავებული. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კირიონი ხელახლა იქნა დაბარებული პეტერბურგში და ყ-დ სამღვდლო ვეთიმე თავისით წავიდა. ესლა როგორც სჩანს ანგარიშიდან ისიც ყოფილა მიწვეული, მაგრამ გამოცხადებით არავისთვის შეუტყობინებიათ მისი დაბარება.

როგორც ზემოხსენებული შესანიშნავი კომისიის ანგარიშიდან სჩანს პირველი სხდომა ამ კომისიის ჰქონებია ორს ივნისს 1906 წელსა აღექსანდრე ნეველის ლავრის ერთ შენობაში.

ვეცდებით რომ გავაცნოთ ეს შესანიშნავი ანგარიში ჩვენ მკითხველებს, რადგან ეს ანგარიში მეტის-მეტად საინტერესოა უნდა იყოს ყველა მათთვის ვისაც ჩვენი ეკლესიის საქმეების ცოტა რამ შესჭირს და სრულებით არ გაგრილებია ჯერეთ გული საქართველოს ბედ-იღბალზე. საინტერესოა თვითონ ჟურნალში წაიკითხოს ყველამ ეს ანგარიშები, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენი საერო წოდება სასულიერო ჟურნალს როგორ წაიკითხავს! მაგრამ საერო წოდებას ვინ გაამტყუნებს, როდესაც სამღვდლოებაც სამარცხვინო გულ-გრილობას იჩენს სასულიერო და საერო ჟურნალ-გაზეთების კითხვაში!..

სინოდს უფიქრია, რომ ქართველი ეპისკოპოსები ძლიერ მომზადებული მოვლენ კრებაზეო და ამისათვის ისეთი პირები აურჩივია ამ კომისიაში, რომელთაც დიდი წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო და მასთან კერძო ანგარიშებიც ჰქონდათ ქართველებთან და ნამეტნავად ახმდერებულნი იყვნენ აქ მსახურების დროს. რადგან იგინი თავის გულის საწადლის აღსრულებას საქართველოში ვერ ეღიროსენ ესლა მიინც ერთ-ორად გადაუხდიან მათ რუსეთიდან. ამ კომისიაში ამისთანა პირებად უნდა ჩაითვალოს ეპისკოპოსი სტ—ნი და დეტ. ვ—ვი,



კარგად ცნობილი ყველასაგან საქართველოში. სხვა წევრები ამ კომისიის პროფესორები და დამახატებულნი პირები არიან.

თავმჯდომარედ კომისიაში ყფილა დანიშნული მთავარ-ეპისკოპოსი ნიკანდრი და წევრებად ეპისკოპოსი სტეფანე, ეპსკ. კირიონი და ვეთიმე. დეკანოზები: ვოსტარგოვი, ბუტყევიჩი, ტიტოვი, პროფესორები ბერდნიკოვი, ოსტროუშოვი, ალმაზოვი, ზავიტევიჩი, გოლუბინსკი, სოკოლოვი, ბრილიანტოვი და მანსუროვი. აი ეს ანგარიში.

შირეკლი სსდმამ მოხდა 2 აგვის 1906 წელსა.

სხდომა გახსნა თავმჯდომარემ მთავარ-ეპისკოპოსმა ნიკანდრმა ათ საათზე დილით. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მეორე განყოფილებას აქვს მინდობილი სინოდისაგან მსჯელობა იქონიოს, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეკლესიის საქმეები კავკასიაში, (ე. ი. ჩვენ საქართველოში). განაწესებად აგრეთვე კრებას, რომ ამ კითხვის გადასაწყვეტად მოწვეულნი არიან სტეფანე, მოგილევის ეპისკოპოსი, კირიონი ეპისკოპოსი სუხუმისა, ვეთიმე ეპისკოპოსი გორისა და დეკ. ვოსტარგოვი.*)

ამის შემდეგ თავმჯდომარისაგან წაითხული იყო წარმოდგენილი ყ-დ სამღვდლო კირიონისაგან ამ კითხვის შესახებ ორი მოხსენება: 1, „საქართველოს ეკლესიის კითხვების შესახებ“ და 2) „რა აიძულებს ქართველებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგინებას?“

I. საქართველოს ეკლესიას კითხვა.

ყოველ მოვლენას, რამდენადაც იგი სრულდება დროებითად, აქვს თავისი ისტორია. ჩვენს მრავალწამებულ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასაც აქვს თავისი ღრმა მნიშვნელოვანი ისტორია. ამ კითხვამ, რომელიც მოულოდნელად აღძრა ბექლდითი სიტყვამ, გამოიწვია უკანასკნელ დროს მთელი ლიტერატურა მომხრე და მოწინააღმდეგეთა და ერთად სერიოზულ და სინდისიერ გამოკვლევასთან, როგორც მოსალოდნელი იყო გამოცხადდენ, დაჯივებული ტენდენციონური სტატიები, მართალი რომ ეს თქვან — ფარისევლოური დამტკიცებანი მწიგნობართა, — უუკულომართად განმარტებულნი ძველის

*) ვოსტარგოვი ამ კრებაზე არ დასწრებია, რადგან უწყება არ ქონდა ჩაბარებული.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისა. ზოგიერთებმა მიმართეს მტკნარ და უჯგერო ფაქტების ხმარებას, რომ განგებ დაამახინჯონ აზრი მოყვანილ დამტკიცებათა. მაგრამ ხელოვნურად შემუშავებულ სკრულის სიბნელეში ქვეშარტება მიინც გამოსჩანს და მათი სიტყვების რახარუხი დაშთა უნაყოფოდ.

უეჭველი ისტორიული საბუთები ქართულს, ბერძნულს, ასურეთის და არაბულ ენაზედ ამტკიცებენ, რომ ქართველებმა, მიიღეს რა ქრისტიანობის სარწმუნოება, იერარხია და საეკლესიო აღმინისტრატული დაწესებულებანი ბიზანტიისაგან მეოთხე საუკუნის დასაწყისში და ანტიოქიის ტახტის დამტკიცებულნი მაცადინობდენ თან-და-თან განთავისუფლებულიყვენ უმფროსი ეკლესიის ოპიკუნობისაგან და დაეკანონებინათ თავისი დამოუკიდებელი ეროვნული ეკლესია ქათალიკოსების მეთაურობით. ამისთანა სრულებით ბუნებრივი ლტოლვილება ქართველთა სურვილი მით უფრო ადვილად შესაძლებელი იყო, რომ მათ სრულებით შეიგნეს მაცხოვრებითი სწავლა — მოძღვრება ქრისტიანობრივი სარწმუნოებისა.

ერთის მხრით, დაარსება ივერიაში რელიგიურ და ეკლესიური წყობილებისა, სასულიერო განსაზღვრულ დაწესებულებათა და გამდიდრება თავის დედა ენაზე სულიერად გასანათლებულ სამღრთოდეთის მსახურებისა თავიანთ ეროვნულ წიგნთა, ხოლო მეორეს მხრით თან-და-თან გამდიდრება და განმტკიცება საქართველოს სამეფოსა და — განსაკუთრებით შემდეგ ქ. ანტიოქიის აღებისა არაბთაგან 638 წელსა, აიძულებდენ ქართველთა შეექმნათ თავიანთი ეკლესია სრულებით დამოუკიდებელი ანტიოქიის პატრიარხისაგან. ეს წმიდა სურვილი ქართველთა ერისა განხორციელდა თან-და-თან, გაიარა რა კარგა ხანმა თავის აღორძინებისა სანამ, ბოლოს, არ გამოცხადდა საქვეყნოდ მერვე საუკუნის ნახევარში, ოკლამბრის თვეში შვილას ორმოცდა თერთმეტსა წელსა, ანტიოქიის პატრიარქის სავატრიარქო ტახტისაგან სრული ავტოკეფალია ივერის ეკლესიისა. ამ დროიდან ირიცხება და სთვლიან საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალურ მცხეთის საქათალიკოსო კათედრად როგორც აღმოსავლეთის ისე დასავლეთი ეკლესია, თანასწორად ეკლესიის კანონმდებელნიც და მესიტორიენი. ვისაც სურს დაწვლილებით გაცნობა ამ კითხვისა ურჩევთ სპე-



ციულურად შედგენილ თხზულებათა, რომელნიც უძღვნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობას: 1) სანქტ-პეტერბურლის უნივერსიტეტის პროფესორის ი. ი. სოკოლოვისას—საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობაზე (ისტორიული გამოკვლევა). 2) მღვდლის კ. ცინცაისის—„საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“. თფილისი 1905 წელს; 3) თ. დ. ჟორდანი, მოკლე ცნობანი „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“. თბილისი 1905 წ.; 4) მ. კელენჯერიძე; სიმართლე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობაზე. ქუთაისი 1906 წ. და მრავალი ძვირფასი სტატიები გაზეთების: პროფესორების ა. ა. ცაგარელის, ნ. ი. მარისა, ა. ს. ხახანაშვილის და აგრეთვე ნ. ნ. დურნოვის, იაკობ გოგებაშვილის, ფ. ყაბიძისა, ა. ი. ნატრაშვილისა, მღვდლის პოკროვისკისა და სხვათა.

ამ სახით მე-VIII საუკუნის ნახევრიდან სულ 1812 წლამდე საქართველოს ეკლესია იყო სრულგებობით თავისუფალი და კათალიკოსები მართავდნენ და სჯიდნენ დამოუკიდებლად გარეშე რომელიმე უფლებისა საფუძველსა ზედა სიტყვისა ღვთისა, მოციქულთა კანონებისა და საეკლესიო კანონთა, მართავდნენ რა თავისი განკარგულებით ადგილობრივ კრებებს, დაადგენდნენ ამა კრებებზე თავისი განიხებათა. გარნა იმ დროიდან რაც თავის ნებით საქართველოს სამეფო შეუერთდა რუსეთს 1801 წელში, უწმიდეს სინოდს, არა სურდა რა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა, მიზი თავისუფალი მართვა, წინააღმდეგ იმპერატორის პაულეს ცხადი ბრძანებისა, რესკრიპტში „არ შეეცნო საქართველოს ეკლესიის უფლებათა დაიწყეს მდგრად მაცადინობა, რომ იერარქიულად დაემორჩილება საქართველოს ეკლესია სამართავად. სურვილი უწმიდესი სინოდისა დაგვირგინდა გამარჯვებით. შუამდგომელობისამებრ კავკასიის მთავარ-მართებლის ტორმასოვისა ანტონი II ქათალიკოსი საქართველოსი იყო გაწვეული უწმიდეს სინოდში 1810 წელში ვითომ მოსავარებლად საქართველოს საეკლესიო საქმეთა, ხოლო 30 ივნისს 1811 წელსა გენერალის ტორმასოვისავე აზრით, მის ადგილზე, წინააღმდეგ 30 და 35 წმიდთა მოციქულთ კანონებისა და 22 კანონის ანტიოქიის კრებისა, საქართველოს ექსარხოსად და მიტროპოლიტად მცხეთისა დაინიშნა ვარლამი! მხოლოდ უდიდეს და უმთავრეს საეკლესიო

სიო უფლებას შეუძლია გააუქმოს დადგენილება უმცირესი უფლებებისა. ამ სახით, დარღვეულია საეკლესიო კანონები და მცნებები, სრულგებობით გაუგონარი უმართლოება, რომლის მსგავსი ეკლესიის ისტორიაში არა მომხდარა.

აქ უნებლიეთ იხადება კითხვა: ჰქონდა თუ არა კანონიერი უფლება უწმიდეს სინოდს ასე მოქცეოდა ავტოკეფალურ საქართველოს ეკლესიას?

რომ მივმართოთ ეკლესიის ისტორიის დადგენილი კითხვის აღსახნვლად ჩვენ ამ ისტორიაში თუმცა შევხედვებით არა მცირე შემთხვევას ეკლესიის ავტოკეფალობის გაუქმებისას, მაგრამ ამისათვის მიუცილებლად საქირო იყო დაცვა ცნობილ პირობათა—ითხოვებოდა ერთის მხრით ძალა-დაუტანებელი სურვილი ეკლესიის კრებულთა და სამწყსოთა წარმომადგენელთაგან, —ხოლო მეორეს მხრით —ნება-დართვა და დაცვონება კრებისაგან. 2) გარნა უწმიდეს სინოდს ამის მსგავსი არა ჩაუდენია რა. თუ არსებულყოფი ამისთანა რამე სიგელი თავის ნებით უარი განცხადებდა საქართველოს ეკლესიის თავის ავტოკეფალიურ უფლებებზე მაშინ უწმიდეს სინოდს ეწებოდა რაიმე თავის მოქმედების გასაძირებლად, მაგრამ არავითარი ამისთანა სიგელი არ ყოფილა. იყო ერთაა ერთი შესაძლებელი მაშინ გზა კანონიერ მოქმედებითი გადაწყვეტილებისათვის საქართველოს ეკლესიის კთხვისა, გზა ურთიერთ-შორის შეთანხმებისა, ორივეს მხრით შეთანხმებით სიგელის შედგენისა, მაგრამ ეს კანონიერი გზაც უუყურადებოდ დატოვებული იყო სინოდის მხრით. თავის გასამართლებლად ამ შემთხვევაში არა კმარა მარტო ეს სიტყვები: „ასე იყო აქამდის“ ამ სიტყვებს აქვს ისტორიული მნიშვნელობა და არა იურიდიული. უკანონო მოქმედება, რომელიც საქართველოს ეკლესიის მიაცენეს იმ აზრით, რომ იგი დიდხნადან შეერთებულა არ აკანონებს ამ მოქმედებას. მიწის მფლობელობის ხწოვანებას ჩვენ ეკლესიის კითხვებთან არავითარი კავშირი არ აქვს.

ეფუძნებოდა რა, ამ სახით გენერალ ტორმასოვის მოხსენებაზედ, რომელსაც, უნდა ვთქვათ, არა ჰქონდა ამაზედ უმაღლესი ნებადართვა, უწმიდესი სინოდი შეერია უძველესი ეკლესიის საქმეში, რომლის ავტოკეფალობა დამტკიცებული იყო ანტიოხიის კრების განჩინებით. მსოფლიო კებათა კანონები ყოველთვის გულსმოდგინედ იცავდნენ ყოველ ცალკე



ეკლესიათა თავისუფლებას და იმათ კანონმდებლობას, როგორც ეს სწანა პირველი კონსტანტინეპოლის კრების მეორე კანონისაგან, მერვე კანონიდან ეფესოს კრებისა, მან კანონისაგან წმინდათა მოციქულთა და სხვათა.

ჩვენ კიდევ წინასწარ ვხედავთ აქ ერთს საწინააღმდეგო აზრს,—შუდღლიათ გვითხრან, რომ კანონების დადგენილებანი არ არიან ისეთი რამე, რომ მათი შეცვლა როგორც დოღმატებისა არ შეიძლებოდესო. იგინი არა ერთგვის შეცვლილან დროის და აღგლის მიხედვისამებრ. მართალია, ამ კანონებმა, უმეველია, შემდეგშია მიიღონ სხვა ფორმა, მაგრამ ამისთანა მოქმედება კერძო ეპკლესიის დაუკითხავად და უნებურად შეიძლება მხოლოდ მსოფლიო კრების ნებით და გადაწყვეტილებით, და მხოლოდ ერთად მას ეკუთვნის ეს უფლება.

ესრეთ, ისტორიული და კანონების დადგენილობათა საფუძვლით, უკანონოდ შეჩერებული ქართველთა ქათალიკოსის აღრჩევა დაუყოვნებლივ უნდა განახლდეს არჩევითი სახით და უნდა აღდგინდეს სრული ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიისა, რომელიც დაუბრუნებს ივერიის ეკლესიას სიცოცხლეს და სიმართლით მოქმედებას.

(გაგრძელება იქნება)

მწარე ფიქრები

წინეთ დრო და დრო აღიძრებოდა ჩვენში მწარე ფიქრები, როდესაც კვეამჩნევდით ამ ქვეყნის წაღმა უკუკმა ტრიალით კაცის საზიზღარ საქციელს, სულმდაბლობას, ფლილობას, ფარისევლობას და სხვა უზნეო მოქმედებათა. დღეს კი ნიაღვრ ვგრობთ ამ მწარე ფიქრებს. რას ნახავთ ისეთს ესლანდლ დროში, ან რას მოიგონებთ, რომ სასიხარულო ფიქრები აღვიძრას? სრულებით არაფერს. შეგზვდა ვინმე, ანუ იახელით თვითონ მას. ასეთი ზრდილობით და პატივისცემით მივიღებენ, რომ გაოცდებით. მაგრამ ნუ გჯერათ, ყველაფერი სიფლიდ და მოტყუება, გეფარისევლებიან, შენ რომ მოგშორდება მერავს შეხვდება თუ არა შენ გაგინებს და ლანძღვის მეტს არას ამბობს შენზე. რატომ? მიტომ რომ მთელი მისი მოქალაქობრივი ცხოვრება სიფლიდზე და მყარებული...

*
*
აგერ ღამე კაცი დაეცა თავს საცოდავს გლენს და რაც აქვს უკანასკნელ ქონებას ართმევს. ქურდი ღიღუღლად ეუბნება საცოდავს:

—შენ არ გეგონოს, რომ მე ყაჩაღი და ქურდი ვიყო. მე ვარ განმთავისუფლებელი ორგანიზაციის წევრი, საჭიროა ფულები და მიტომ გართმევ; თუ ვისმე უთხარი ეს ამბავი, უთუოდ მოგკლავ.. დილ, ყოველივე, უბედურება დღეს ხდება განმთავისუფლებელ მოძრაობისთვის!..

გაცარცევის საწყალი და საცოდავი კაცი და კიდევ დასპრეს! როცა დაიწყებენ ცუდთა ყაჩაღების ჩვენებას, ზოგიერთები მათ ვასამართლებლად იტყვიან ხოლმე: მაშ რა ქნან საწყლებმა? შიმშილით ხომ არ მოიკვლენ თავს? თუ არაფერი აქვს რა ქნას ამა?!. დილ, კარგი თავის გამართლებაა...

*
*
ქიათურის მუშები სოციალ დემოკრატები ამას წინეთ გაიფიცნენ და როცა გული შეიჯერეს კარგი ქირით დაიწყეს მუშაობა. თავიანთ დადგენილებით საქმის დღეში ვაგონის დატლა სამი მანეთი ღირს და კვირას ექვსი მან. ორ საათში მუშა მ მან. იღებს!.. მაგრანციის ვაჭრებს მეტი ღონე არ ქონდათ და მისცეს მოთხოვნილი ქირები. მოვიდნენ ას ორმოცი სვანი და ითხოვეს, რომ იმათაც ემუშავნათ, მაგრამ ცუდის თვლით შეხედეს მუშებმა. „შეგიძლიათ წახვიდეთ იქვე საიდგანაც მოსულხართო. აქ ჩვენ სხვას არავის მოუშვებთო“, უთხრეს.

—მაშ ერთობა არ ყოფილა თქვენში? მიუგეს სვანებმა. რამდენი ხანიც თქვენ გიმუშავნიათ იმდენს ჩვენ ვიმუშავებთ. ჩვენ უსწავლელი კაცები ვართ, საათი არ ვიცით, მანეთს ქირას ავიღებთ. გათენდება თუ არა მუშაობას დაიწყებთ და როცა დაღამდება მაშინ შევსწყვეტთ მუშაობას. თუ ძალას იხპართ მაშინ ჩვენც აქ გახლავართო.. ბევრი სვანი მუშაობს დღეს ქიათურაში და თუ რამე უსიამოვნება ჩამოვარდა ამ მუშებში სამწუხარო ბოლო მოჰყვება..

*
*
საფრანგეთის პარლამენტმა დაადგინა, რომ ეკლესია და სახელმწიფო დაშორდენ ერთმანეთს და ამის ასასრულებლად კიდევ მიიღეს ზომები. ჩვენი გაზეთები დიდის აღტაცებით მიეგებენ ამ



ამბავს და ამტკიცებენ, რომ რომის პაპის მნიშვნელობა სრულებით დაიშოვო. ჩვენი გაზრდების მწერლებს თუ ეკლესიისა და სახელმწიფოს დაშორება სარწმუნოების მოსპობად და რელიგიის უარყოფად მიანიათ, მაშინ პაპზე უფრო თვით საფრანგეთი უმაღლ დაიშინა. დედამიწაზე არც ერთი სახელმწიფო არ არის, რომ რომელიმე რელიგიას არ აღიარებდეს. შეიძლება საფრანგეთმა უარ ჰყოს ქრისტიანობას, მაგრამ მის მაგიერ უთუოდ სხვა სარწმუნოებას მიიღებს და თუ არც ერთ სარწმუნოებას არ მიიღებს მაშინ მისი რესპუბლიკა მას ვერ იხსნის დამხობისა და გაქრობისაგან. ზოგიერთი ჩვენი მწერლები, რომელთაც საქმის ბევრი არა გაგებებთ-რა, ფიქრობენ, რომ პარლამენტის გადაწყვეტლებსა დღომატად დარჩება. ამ იციან, რომ სულ უბრალო საქმისათვის დღევანდელი მინისტრი იძულებული შეიქმნება ორტყელი აილოს, ქული დაიხუროს და თავის სახლში წავიდეს. მეორე მინისტრი და შემდეგი დეპუტატები სრულებით უკუღმა დაატრიანებენ საქმეს. მოიცადეთ ათი-ოცი წელიწადი და მაშინ შეეცდებით ყველაფერს!.. დიდი ხანია რომის პაპს ექადებიან დამხობას, მაგრამ იმისთანა კაცის დამხობა, რომელსაც ჰყავს ორას ორმოცდა ათი მილიონი აღმსარებელი და სულიერი შვილი, ავრე აღვილად არ მოხერხდება. საფრანგეთის ხალხი ისეთი გულგრილი არ არის ქრისტიანობაზე როგორც ჩვენი ხალხია. ჩვენი ხალხი უბრალო ბიჭების ქადაგებამ ჰკუზაზე შეშალა. შეხედეთ ხალხს აბა რა ქნა სარწმუნოების შესახებ. ოცდა თთხმეტე ათასი მღვდელია საფრანგეთში, ვნახოთ, მისცემს ხალხი საზრდოს მათ თუ ისე მოიძულეებს როგორც ჩვენი ხალხი მოიქცა...

* *

საფრანგეთს ძლიერ უყვარს მეტეორობა და თავის მეტეორობით ქვეყანა უნდა გააკვიროს. დიდათ ამყობს თავის „რესპუბლიკით“ მაგრამ მისი „რესპუბლიკა“ ვერ შეედრება ინგლისის მონარხიულ მმართველობას ეს რესპუბლიკა ხსნას და შევლას მოვლის რუსეთის თვითაპრობელობისაგან... მოიცადეთ და ოცი—ოცდა ათი წელიწადი და მაშინ ნახეთ საფრანგეთის რესპუბლიკა რა მდგომარებაში იქმნება თუ რელიგია მოისპო და სარწმუნოება გაქრა მათში!

ჩვენს ზოგიერთ მწერლებს საწმუხაროდ არ

ესმის რა არის და რას ნიშნავს სახელმწიფოს და ეკლესიის დაშორება ერთი მეორისაგან. საფრანგეთი დღემდის ორმოცდა რვა მილიონს ხარჯავდა სამღვდლოების შესანახავად და რომის პაპის თვისი კონსული ჰყავდა პარიზის ქალაქში. ამ სასულიერო უწყებას გარდა კიდევ იყო ერთნაირი სამღვდლოება, რომელიც არავის ექვემდებარებოდა, თვითონ განაგებდნენ თავიანთ საქმეს და არავის არ აძლევდნენ ანგარიშს. ხალხი ამ სამღვდლოებას დიდ შეწირულებას აძლევდა. ამ სამღვდლოებას მშვენიერი სასწავლებლები, საავადმყოფოები და სამოწყალო სახლები ჰქონდა. რესპუბლიკის სახელმწიფოში მათ თავის სახელმწიფო და საკუთარი მართვა გამგეობა ჰქონდათ. რადგან ყოველი კაცი თავისუფალი იყო საფრანგეთში ეს სამღვდლოებაც ამ თვისუფლებით სარგებლობდა, მაგრამ ეს თავისუფლება სასარგებლო არ იყო რესპუბლიკისათვის და მთავრობამ შეზღუდა მათი თავისუფლება... ბოლოს დაუხურა ყველა სასწავლებლები და გააძევა საფრანგეთიდან. საფრანგეთი დიდად ყოყობდა, რომ განდევნა იგინი და კონგრეგაციების მოსპობა შესძლო. ევროპაში არც ერთ სახელმწიფოში არ ყოფილა ისეთი თავისუფალი სამღვდლოება, მხოლოდ საფრანგეთში იყო დაბუდებული ეს კონგრეგაციები მართებლობის გაუგებრობისა და სისუსტისა გამო. რა არის აქ საამაყო საფრანგეთის რესპუბლიკისათვის, რომ კონგრეგაციებისაგან თავი გაინთავისუფლეს? სრულებით არაფერი, ის არის გასაკვირვალი, რომ საფრანგეთის სახელმწიფო იყო იმდენად სუსტი, რომ ეს თავისუფალი სამღვდლოება ამდენი ხანი ვერ მოიშორა თავიდან!..

აი რას ვკითხულობთ პარიზიდან ტელეგრაფში. „სენატმა გაარჩია კანონ-პროექტი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევება. ლასკაზმა განაცხადა, კანონ-პროექტის მიღება შეუძლებელია. იგი წინააღმდეგა საეკლესიო ქონების სასოგადოების ხელში გადაცემას და სამღვდლოებისათვის ჯამაგირის მოსპობას. კანონ-პროექტის მომხსენებელმა ლეკონტმა განაცხადა, შეუძლებელია საფრანგეთის რესპუბლიკა პაპისაგან დამოკიდებული (ვასალი) იყოს. მინისტრმა ბრიანმა სიტყვა წარმოთქვა, რომელსაც მემარცხენენი ტაშის ცეკვით, ხოლო მემარჯვენენი პროტესტით მიეგებნენ. ბრი-



ანმა სთქვა: საფრანგეთის კანონმდებლობა ყველაზე უფრო ლიბერალურია. მთავრობამ ეკლესიას თავისუფლება მისცა, მაგრამ ეკლესიამ არ ისურვა, ეკლესია ითხოვს მთავრობამ თავისი ღირსება მსხვერპლიად შესწიროს, რაც შეუძლებელია რომთან მოლაპარაკების გამართვა მეტია. პროექტის ძალით, პაპი იძულებული იქნება, თუ გაჯიუტდება, კულტის კერძო ორგანიზაცია შეადგინოს, რასაც ფრანგ-კათოლიკენი არ ისურვებენო. პალატამ დაადგინა, რომ მინისტრ ბრიანის სიტყვა საჯაროდ გააკრას. "

ორი დღე არ გასულა და მემარჯვენეები ეხლავე პროტესტს უცხადებენ პარლამენტში კლემანსოს აზრებს და ენახოთ რა მოხდება შემდეგში. რაც უნდა სთქვენ და რაც უნდა გარდასწყვიტონ ქრისტიანობა მაინც მტკიცედ არის იქ ვინემ ჩვენში დღეს. არასოდეს არ მოხდება, რომ შემოსილი მღვდელი გარეთ გამოიყვანონ და მოკლან ისე როგორც ერთ ადგილას მოხდა...

სოფელის ხუტკისი.

არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაუზღავნა გუბერნატორებს შემდეგი საარჩევნო წესები, შესაცვლელად და დასამატებლად 1906 წელს 24 თებერვალს გამოცემულ წესებისა: არჩევნების მოსახდენად მიწათმფლობელთა და ქალაქის ამრჩევლთა იმ კრებაზე, რომელზედაც საარჩევნო სიით 500 კაცზე მეტი იქმნება, უნდა შესდგეს კომისია. კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება კრების თავმჯდომარე, წევრებად—ამომრჩევლნი, რომელთაც სამაზრო საარჩევნო კომისია მოიწვევს. სიების შესადგენათ საარჩევნო კომისიას უნდა დაეთმოს ერთი ან რამდენიმე ოთახი, საწერი მასალა და საარჩევნო ბლანკები. ოთახში არ შეიძლება ერთის ამომრჩევლის მეტის შეშვება. ყუთში სიის ჩადების შემდეგ ამომრჩეველი დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს გარედ ასევე უნდა მოიქცეს ის, ვისგანაც სიას არ მიიღებს კომისია. იმ ოთახში, სადაც არჩევნება, გასავლენსა და კარიდორებში, აგრეთვე შესავალითან უნდა აიკრძალოს მოწოდების გავკრა. კანდიდატების სიისა ან წიგნაკების და

პლაკატების გადაცემა ამრჩევთათვის. არ შეიძლება სიტყვების წარმოთქმა და აგიტაცია. არჩევნების დრო და ადგილი სათანადო დაწესებულებამ უნდა გამოაცხადონ არა უგვიანეს, ორი კვირისა არჩევნებამდე.

წესები იმ კრებებისთვის, რომელსაც 1000 ამომრჩეველზე მეტი დაესწრება:

1) საარჩევნო სიის ბლანკები, დაწესებულ ფორმისა, უნდა დაამზადონ ქალაქის ან საერობო გამგეობებმა. ბლანკს მეორე მხარეზე უნდა დაეკრას გამგეობის ბეჭედი. ბლანკის ორი ცალი არჩევნების წინ, ორი კვირით ადრე, უნდა გავგზავნოთ პოლიციის შემწეობით ქალაქში მცხოვრებ ამომრჩევლთ. ცალკე ქალაქზე აღნიშნული უნდა იყოს დრო და ადგილი არჩევნებისა. პოლიციამ ამ ბლანკის ჩაბარების დროს ბარათი უნდა ჩამოართვას ამომრჩეველს. 2) ამრჩევლებმა, რომელნიც ქალაქ გარედ ცხოვრობენ ან, რომელნიც დროზედ ვერ მიიღებენ საარჩევნო განცხადებას და საარჩევნო ბლანკს, უნდა მიმპართონ სათანადო საქალაქო, საერობო ან სამაზრო დაწესებულებათ არჩევნებამდე ორის კვირის წინ და მოითხოვონ საქირო განცხადებანი; ამ შემთხვევაში უნდა წარუდგინონ თავის პიროვნების შესამოწმებელი საბუთები, ადგილი პოლიციისაგან, თავის უფროსებისაგან, ნოტარიუსისაგან და მღვდლისაგან; 3) საარჩევნო განცხადების ერთ გვერდზე აღნუსხულია ნომერი, საარჩევნო უბნის სახელწოდება, ამრჩევლის სახელი, გვარი, აგრეთვე შენიშვნა, რომ განცხადების ვადაცემა სხვაზე არ შეიძლება, რომ განცხადება ამრჩეველმა უნდა წარადგინოს საარჩევნო დარბაზში შესვლის დროს, აგრეთვე როცა თავის ბიულეტენს ყუთში ჩასადებად მიიტანს. 4) ეინც დროზე ვერ მიიღებს საარჩევნო განცხადებას ან დამკარგავს მას, შეუძლია არჩევნების დღესაც მიიღოს იგი საარჩევნო კრებაზე, თუ წარადგინს ზემოდ აღნიშნულს მოწმობას. 5) როგორც კი დარიგდება საარჩევნო განცხადებანი და ბლანკები, სათანადო დაწესებულებათ მუქთად უნდა აძლიონ ამრჩევლთ განცხადებანი და ბლანკები. 6) საარჩევნო ბარათების ბლანკები გამგეობამ უნდა მისცენ მხოლოდ იმ პოლიტიკური საზოგადოებათა და კავშირთა გამგეებს ან კომიტეტებს, რომელნიც დაკანონებულნი არიან, თანახმად 1905 წ. 4 მარტის უმაღლესი ბრძანებისა. ის საარჩევნო ბლანკები, რომელიც გამგეობას არ დაუშვადებია და თავის ბეჭედით არ აღუნიშნავს, კანონიერად არ იქნება ცნობილი.

სამღვდელოების საქარადმოც.

ეკლესიის წმ. მოციქულების აზრით შეადგენს ხალხი ერთმორწმუნე, მაშ ამავე ხალხს აქვს მინიჭებული უფლება ეკლესიის ეკონომიური მხარე განიხილოს, ასწონ დასწონოს და მოაწესრიგოს ეკლესიის საქმე იმდენად, რამდენათაც ეს უკანასკნელი თავის არსებობით დამოკიდებულია ხალხის ნიეთვე მდგომარეობაზედ. ჩვენში ხალხს აქვს სარწმუნოება, თუმცა ბევრი ეცადენ ზოგიერთი პირები ხალხისთვის წაერთმიათ თავის სულიერი ღირებულება უზუნაეისადმი, მაგრამ ამ ერთმაცდამ, როგორც მოსალოდნელი იყო პსიხოლოგიის კანონებით, ამოდ ჩაუარა; ხალხმა ამ სარწმუნოების სხვა და სხვა წესების გაღმარებულ შეამკო და ააგო მშვენიერი ტაძრები. ამავე ეკლესიის აქვს შემოსავალი, ცოტა თუ ბევრი, სხვა და სხვა წყაროებიდგან: საიჯარადრო ადგილებიდან, 2) შემოწარულებიდან და 3) გასყიდული სანთლის მოგებიდან. რწმუნებულ ჩემდამო სამრევლო ეკლესიას, მაგ. წლიური შემოსავალი ჩხარის ოქანო—მაცხოვრის ეკლესიისა აღის 250 მანეთამდე. ეს ფულები აბარია მნათეს, ხალხის მიერ არჩეულს, მაგრამ ფულების დახარჯვას ხალხს კი არ კითხავს. ბლოლოჩინებში მოსთხოვენ მნათებეს წლის ბოლოს ფულებს და იგინც აძლევენ: ეს ქვრივ-ობლებს სასულიერო წოდების სასარგებლოთო, ებარქიალურ ქალების სასწავლებლის შესანახავათო, ეს ცოტორგოვისის ქადაგების გასახლებლათო, ეს სამრევლო შკოლების შესანახავათო, ეს ბლოლოჩინების იასაულისათვისაო და სხვა და სხვა.

არავინ არაფერს კითხავს მრევლს მისი ეკლესიის ფულების ხარჯვაზე. ამით მრევლს გული აუცრუეს ეკლესიის ერთგულებაზე და ჩვენი ეკლესიები ძლიერ სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდნენ, ზოგიერთი ბლოლოჩინების მოქმედებამ სულ გული გაუტეხა მრევლს.

არა მამებო! გამოფხიზლით—წინ გაუძღვეთ მრევლს, გაავაგებინათ მათ თვის ვინაობა, შევაგებინათ მათ თავის-უფლება თვის ეკლესიის შესახებ. არა მამებო, ვიმეორებ შევეცნათ, სიმართლით გავიაროთ, თორემ რაც მოგვადგა უარესს მოველოდეთ. გაავაგებ იმ ხალხს, ვისაც ემსახურები თავის ვინაობა, გაავაგებ იმ ხანა, რომელშიდაც იგი არსებობს და მიუთითე იმ ხანაზედ, რომელიც უნდა იქნეს იმის მსხელი და მონაობიდან გამოწყვანი; დაუსურათე ის, რასაც ხალხი ამწყო დროს ითმენს და გამოცდილიც ააქვს.

ის თავის თავს უყურებს, როგორც საწყალ არსებას, რომელიც დახმარებას მოელის, ის მხოლოდ მოვლენილია სამუშაოთ, მას უნდა საზოგადოებაში თავის ვინაობა დამალოს გადაასხვადფროს; მას ყველა შეურაცკავს შეგვიანებს, მის პირადობას ფხე-ქვეშ გაიადგებს, ერთი სიტყვით ყველასათვის დაბალი ღობე არის.

აღსდგე მოძღვარო, გაუაყვე გზა საწყალ კაცს, შეავაგებე, ის რაც მინიჭებული აქვს ქრისტეს მოძღვრებით. შეავაგებინე მას ეს დამამცირებელი შეხედულება თვის თავზე, მიიყვანე იქამდის, რომ ღღემდის დაბეჩავებული გაღვიდეს ახალ ხანაში და თამამად სთქვას: მეც კაცი ვარ, რომელსაც მაქვს ყველა ის უფლება რაც აქვს ყოველს ადამიანს ვინც უნდა იყოს იგი. შეავაგებინე მას ის რომ ყოველივე შრომით განისაზღვრება და არა შთამომავლობით და ფულით. ამისთანა წინამძღვარ მოძღვარს ხალხი შეგიყვარებს და ყოველთვის მზად იქნება შენი გაჭირვება თავის გაჭირვებად მიიღოს. არ დაგვიწყებს იგი და არ შეურაცხავფს.

მღვ. ნესტორ ასესქე.

მარსკვლავი წმინდის სიყვარულია.

ღმერთო მართალო და შემძლებლო! დეე განათლდეს ბნელი ჩვევისა; ვარსკვლავი ისა, რომ ცის კიდესა აენთო სწორეთ ამ საათს ისა.

აღნთო იგი ბნელსა ღამესა ვარსკვლავი წმინდის სიყვარულია, ქვეყნის საჩუქრათ, ჩვენდ, სახსენლათ, როდესაც იშვა ძე ღვთის მშობლისა.

დეე ანათოს, ვით წინეთ—ესლაც და იციმიციმოს იმან ცაშია გაბნეულთათვის უდაბნოებში და ჩაკარულთა უფსკრულ ზღვაში.

დეე იზოილოს მშვიდ იმედითა ისა, ვინც ბედით დაჩაგრულია, სული აღუქვოს ნეტარებითა სხივით დაუთბოს იმით გულია!

ღმერთო მართალო და შემძლებლო დეე განათლდეს ბნელი ჩვენთვისა; ღრუბელ გადაღმა ვარსკვლავი ცისა აღნთო სწორეთ ამ საათს ისა!

ბადას ქუჩელი.



მამითა საზოგადოება.

შაბათს კავკ. ექიმთა საზოგადოებას საინტერესო კრება ჰქონდა. ექიმმა ვ. ს. მუსხელიაშვილმა წაკითხა მოხსენება ტრანსმიის ექიმობის შესახებ რადის სხივებით. საინტერესო იყო ამ ახალ და საიდუმლოებით მოფენილ შესანიშნავ ელემენტის (რადის) შესახებ ცნობები; მისი თეორიული და ექსპერიმენტული საკვირველი თვისებანი. ექ. მუსხელიაშვილს უნდა და შეტად ნაყოფიერად რადიო წამლობა ტრანსმიას. ექიმების განსაკუთრებული უურადღებო მიიქცია ერთმა მალანის ბავშვმა; მას თვალს ვერა უშეუღლესა ძველებურის საშუალებით, რადის სხივებმა კი სასწაული მოახდინეს; ეს საოცარი ელემენტო სულ რამდენიმე წელწადა აღმოაჩინეს ფრანკ მეცნიერებმა ცოდ-ქმარმა კიურამ და ეთიკელ დეა ახალ-ახალ თვისებებს აჩვენა. ექ. მუსხელიაშვილის მოხსენებამ ხანგრძლივი და საინტერესო კამათი გამოიწვია, რომლის შემდეგ თავმჯდომარემ საუურადღებო შრომად აღიარა მოხსენებელის შრომა.

იმვე კრებას წარუდგინა საინტერესო მოხსენება ექიმ ქალმა ბაქრაძისმა შესახებ ქუთაისშიაგან აგრან- მოხსენებამ ავრეთვე ცხარე კამათი გამოიწვია. ბაქრაძის მიერ მოხსენებებში აღიარებულ კითხვებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ამ უამად, რადგან ტიფლისში ძალიან მიხვინებულნი ქუთაისში.

წ. ა. საზოგადოების ფლიური კრება.

კვირას, 17 დეკემბერს, სათავად-ახსნურა ბანკის სადგომში მოხდა წლიური საზოგადოება კრება ქ. შ. წ. - კ. გამარტყელებელ საზოგადოების. თავმჯდომარის ბ. ნ. ცხევიძის წინადადებით დამსწრეთ ფესე ადგილით ზეტივი სტეს გარდაცვალებულ წვერთა-შიო ჩიტაძის და ნ. ხიზანაშვილის სსიფანს.

შემდეგ წაკითხულ იქმნა გამგებობის მოხსენება საზოგადოების მოქმედებას და მის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ. როგორც მოხსენებუდან სჩანს, ამ ახის წდაის კანსფლობაში საზოგადოებას მხოლოდ ერთი სკოლა მოამტება (სოფ. ულაშვიანში, ბორჩა- ღოს მასრა) და რამდენიმე წიგნი გამოცუდა. ნაყოფიერი მდგომარეობა საზოგადოების შეტად უნუგეშობს. დეფიციტი დიდა და მიადინარე ხარჯებსც ვერ უძღვება მტრე შემოსავლით, კრებამ უკამათოდ მსუდგელობაში მიიღო " ეს მოხსენება, ანკარაშების შესახებ 1904 და 1906წ. წ.)კამათი არა ეთიფილა, კრებამ მიასმინა

მხოლოდ სარევიზიო კომისიის მოხსენებანი ამ ანკარაშების შესახებ და დამტყიცა. სხვათა შორის დღეინდა. ფასი დეკლარაციის საზოგადოების გამტყმას "ქი- ლილა და დამსწარ" და ზოგაერთ სხვას.

თანახმად გამგებობის მოხსენების საზოგადოების სპატიო წვერებად არჩეულ იქმნენ ცნობილი ქველმოქმედნი მძინა ზუბანაშვილები.

მტრე კამათი გამოიწვია გამგებობის მოხსენებამ წესდების ზოგაერთ მუსდის შეცვლის შესახებ. აღსანიშნავია შემდეგი ცუვლილებანი: საწვერო გადსახად უნდა შემცირდეს 3 წანეთამდე იმ პირობით, რომ გინდ არ შეიტანს—წვერის უფლებას ჰქარგავს, სანამ ვეგლა ნელდამკებს არ გადისდის. შემდეგ შეტანილი უნდა იქმნას წესდებამ ახალი მუსდი, რომლის ძალითაც საზოგადოებას ნება ეძლევა პროვინციში განყოფილებანი გასწას.

თორმეტ საათზე დაწვეული კრება 2 1/2 საათზე გათავდა. ("მუგობარი")



ბიბლიოგრაფიული უნიფონა.

კურანი მუქამდასა, ზარგულად გამოცემული, თარგმნილი და გამოცემული პ. მირიანაშვილის მიერ. წიგნი შესკვება 627 გვერდისსაგან დიდას ფორმატის.


დილი შრომა მიუღია ბ. პეტრე მირიანაშვილს ამ წიგნის თარგმნისა და დაბეჭდვისათვის. ერთის მხრით, რომ შეებდეთ ამ შრომას გაკვირვებული კითხვობა: რა მიზანი ჰქონდა მთარგმნელს ამ წიგნის თარგმნისა და გამოცემისთვის? ზენე ვფიქრობთ, რომ ამ კურანის წამკითხველი ცხადად მიხვდება კურანის არარობას. ვისაც წაუკითხავს სხარება ის ცხადად მიხვდება, რომ მუჰამადი სულ უსწავლელი კაცი ყოფილა და მისი ქადგებით კი არ გავრცელებულა ქვეყანაზე მუჰამადიანთ სარწმუნოება, არამედ ცეცხლითა და მახვილითა რამელიც მოელოდა ყოველითა მუჰამადის სწავლის უარისყოფილთა. თავიდან ბოლომდის კურანის წამკითხველი ცხადად დარწმუნდებ, რომ მუჰამადმა თავისი სარწმუნოება შეადგინა დაბადებისა და სხარებისაგან. ცხადთ ხედავს, რომ ზოგიერთი ადგილები დაბადებიდან და სხარებიდან მეტის მეტად უხერხულად გადაუკეთებია და თავის ნათქვამად აღიარებს. როცა კურანს წაკითხავთ თავიდან ბო-



ლომდისინ თქვენ გაკვირებთ მაჰმადიანთა სიმრავლედ და ის, რომ ამდენ ხალხს აკმაყოფილებს ასეთი რაღაცა ბავშვური მოთხოვნა, როგორც არის თავიდან ბოლომდის კურანის მეცნიეობა.

შეიძლება ვინმემ იუქროს. რომ კურანის თარგმნით გამომცემელს სახეში ჰქონდეს ისლამის აღმსარებელთა გამრავლება, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ეს აზრი შემდლარი იქმნება რადგან კურანის წამოთხველი სრულებით ჰკარგავს იმ შეხედულებას, რომელიც მას ჰქონდა მუჰამადისზე.

რაც უნდა ვიფიქროთ და ვსთქვათ მუჰამადის უცოდინარობაზე უნდა აღვიაროთ, რომ მას მინც დიდი ღვაწლი მიუძღვის თავის ხალხის წინაშე მარტო მით, რომ სიბნელეში მყოფნი კერპთთაყვანისმცემელი ხალხი გამოიყვანა სიბნელიდან და ქეშმარიტი ღმერთის თაყუანის მცემელი გახადა. მთარგმნელს დიდი შეცდომა მოსვლია, რომ კურანის წიგნში არ მოუთავსებია მუჰამადის ბიოგრაფიული ცხოვრება და მოკლე ისტორია მისი ცხოვრებისა. ეს ნაკლი ჩვენის აზრით, დიდად შეუშლის ხელს კურანის წიგნის გავრცელებას.



მეცნიერ კაცთა გონების საღაროდან.

ღედანი ვერ მოიგონებენ ისეთს სამკაულს, რომ იმოღენად დაიმშვენონ თავი, რამდენადაც სათნოება დაამშვენებს მათ.

მხოლოდ იგია ქეშმარიტად მწარე ცრემლი, რომელსაც კაცი აფრქევებს, როცა ცალკეა ზ მარტო.

ყველაზე უმცირესი ნიჭი და მადლი სიმდიდრეა, ყველაზე უდიდესი—სიბრძნეა.

მკონარე კაცი ჰვლანგავს თავის სიცოცხლეს, შრომის მოყვარე-კი ხარჯავს.

თუ ვაჟ-კაცობა საჭიროა იმისთვის, რომ კაცმა სიცოცხლე გაიმეტოს, უფრო საჭიროა იმისათვის, რომ თავის მწუხარება სძლიოს.

გენიოსობა სხვა არა არის რა, გარდა დიდის ნიჭისა მოთმინებასთან შეერთებული.

ქვეყანა სამოთხედ გადაიქცეოდა, რომ ქრისტეს სჯულს უნაკლულოდ ასრულებდნენ.

კაცი, რომელსაც არ ძალუძს თვითონ ამალდეს სულითა, სხვის დამდაბლებას სცდილობს.

ვისაც თავის თავი ვერ შეუმაგრებია, იმას არც წერა შეუძლია.

კარგი ჰქმენ—მეშურენნი გაგინდებიან, ჰქმენ უკეთესი—და შერცხვებიან იგინი.

ლონ იმისათვის მოუწიებია ჩვენთვის ღმერთს, რომ ჩვენს ქონებას უპატრონოთ, და არა იმისათვის, რომ სხვისა დვისაკუთროთ.

მარტო სულ-მდაბალის კაცის საქმეა უკადრისად მოექცეს დიდ-ბუნებიანს კაცს.

კაცი, რომელიც მადლობის თქმას არ ეძიებს, სწორედ იმისთანა კაცია, რომელიც მართლად ღირსია სრულად ჩვენი მადლობისა.

თვითონ კეთილიც არ უნდა იქმნას წინ დაუხედავად, თუ გინდა რომ კეთილი ხანგრძლივი იყოს.

თუ გინდა რომ ემსახურო საზოგადოებას, ჯერ გულდამ უნდა ამოილო შიში არ-მოწონებისა.

მშენიერება ქუთისა გვაკვირებს, მშენიერება სულისა გვაძიულებს პატოვისცემას.

გამოცდილება ისეთი სკოლაა, საცა ყოველი გაკეთილი ძვირად გვიჯდება, მაგრამ მინც კი ეგ ერთად-ერთი სკოლაა, საცა უჭკუონიც კი ქუთისა სწავლობენ.

ვინც ყიდულობს მას, რაც არ უჭირს, ის მალე გაჰყიდის საჭიროსაც.

დიდებულია მარტო იგი, რაც მკვიდრია, მკვიდრია მარტო იგი, რაც მართალია

სიცილი ქუთის მზიარლებება, გულის მზიარლებება-კი ღამილია.

ყოველ სხვა ღირსებას მოკლებულია იგი



ქალი, რომელიც თავს იწონებს მარტო იმით, რომ ლამაზი ვარო

ვინც კარგს სიძეს იშოვის, იგი შვილს იშოვის, ვინც ცუდსა—იგი ქალიშვილსა ჰკარგავს.

ზოგი ხმას არ იღებს, იმიტომ, რომ არ იცის, რა სიქვას და ზოგი—იმიტომ, რომ დრო იცის როდისა სიქვას.

ვილსამ ჰკითხა დიოგენს, კაცმა სადილი რა დროს უნდა სჭამოსო.—თუ მდიდარია მაშინ, როცა ჰსურს, თუ ღარიბია მაშინ, როცა სადილი აქვსო, მიუფო დიოგენმა.

ალექსანდრე მაკედონელის მამას ფილიპეს უთხრეს, მეგობრებმა:

—ბერძენებს ამოდენა სიკეთე მიანიჭე, მაგრამ მაინც ავად გასენებენო.

—აბა ესლა იფიქრეთ, რამდენად უარესი იქმნებოდა, რომ ცუდად მოვპყრობოდიო, უპასუხა ფილიპემ.

კეთილი და ღვთის სათნო კაცი მშვენიერის მშვენილებით აშენებულს კლდესა ჰგავს, რომელსაც რამდენსაც მოსჭირ, უფრო მშვენიერად აჯეჯილდება.

ფრთხილად იყავ, არ იქმნას, რომ ეგ შენი სათნოების ტურფა გვირგვინი ოქროსა ანუ ვერცხლის მადანზე არ გასცვალო.

ღვთის საოება დიდი ძალაა კაცისათვისაო, ამბობს იოანე ოქროპირი.

უსაქმოდ მარტო ღვთის შიწვენას არ უნდა დაგმყაროთ. ჩვენის მხრიაეც უნდა ვილოცოთ და სამოწყალო გავსცეთ.

ეცადე მუდამ კლიტე გედოს ბაგეზე (პირზე). თან ის სიფრთხილე გეჭირებება, რომ გასაღები მუდამ შენა გქონდეს.

სათნოება გინა ღვაწლი კაცისათვის იგია, რაც მზე ქვეყნისათვის.

გზსა, რომელსა ხვიდოდე, წინ დაიხედე, რომ ფათერაკსა და საფრთხეს არსად ჩაეარდე.

მდაბალი და მორჩილი ქრისტეს მიემსგავსება.

ღრმა ღვთის-მეტყველებაზე წმ. აგვისტინე ბევრს ფიქრობდა, რომ ცხადად წარმოედგინა ღმერთი გონებაში მისის თვისებითა და ბუნებით. ერთს დღეს ამ ფიქრში გართული ზღვის პირას დადიოდა. ამ დროს დანახა ერთი მშვენიერი ყრმა, რომელიც ზღვიდან პეშვით წყალს იღებდა და პატარა ბუგეში ასხამდა. რასა იქმ ყრმაო? ჰკითხა აგვისტინემ. „მსურს მთელი ზღვა ამ პატარა ბუგეში ჩავცალაო“ მიუფო ყრმამ. წმ. აგვისტინემ ჰკითხა: როგორ დაეტევა მგ ბუგეში ეგ დიდი ზღვა. ყრმამ უთხრა: „უადვილესია მთელი ზღვის ამ პატარა ბუგეში დატევა, ვიდრე შენი გონებისაგან მიწდომა და დატეენა ღვთაებისა“. აგვისტინემ ასეთის ცხადის ხილვის შემდეგ გულიდამ განიშორა თავისი ფიქრი..

მუხრანალ-გაზეთმეზიდას

ცნობილი რუსი მეცნიერი, „სტრანა“-ს რედაქტორი, მ. მ. კოვალევსკი სწერს პარიჟის ჟურნალში „საპოლიტიკო და სალიტერატურო მიმოხილვა“, მხოლოდ ახლა გავიგე და გავითვალისწინე სასებით, რა ყოფილა ბიუროკრატის დესპოტიზმიო. პირველის წებედვით საოცარია, რომ გამოჩენილ მეცნიერს ასე დაგვიანებია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ასეთის ცინიზმით არსად და არასოდეს არ გამომდგანებულა მმართველ ბიუროკრატის დესპოტიზმი, როგორც ახლა რუსეთში და გასაკვირველი არაა, თუ მეცნიერი ისტორიკოს-სოციოლოგიკი განცვიფრებაში მოვიდა.. კოვალევსკი დაწვრილებით ახასიათებს რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას, ასურათხატებს საშინელ ყოფას სახელმწიფოს დეზორგანიზაციის და ბოლოს ამბობს:

„ბიუროკრატია რეფორმატორობას შეუდგა და ამით ვითომ სცდილობს დეზორგანიზაციას ებრძოლოს. დამახასიათებელი ნიშნები სამინისტროს ყველა რეფორმებისა არის მათი სიფიქროე (წკობა)



სიბეჭევე და სათავად-ზნაურთა ტენდეციები. ჩვენი მთავრობა მხოლოდ იმაზე ზრუნავს ახლა, რომ შეძლება მისცეს მემამულეთ და საუფლისწულო უწყებებს ადგილ-მამული მთავრების გლახობით, სახალხო ბანკის საშვალდებით, რაც შეიძლება მეტ ფასებში. ეკატერინოსლავის ერთმა მემამულემ, ცნობილმა გრაფმა, ამ დღეებში დაუჯერებელ ფასში მოიშორა თავიდან დიდი მამული: 200 მანათად დესყტინა, მაშინ როდესაც ამ ადგილებში დესიატინის ყიდვა 120 მანათად ადვილად შეიძლება. ესეც შედავით და დახმარება გლახებს.. თუ რუსეთში დღეს ასეთი დიდი კრიზისი მსუფთვეს, ეს უპირველესად ყოვლისა იმიტომაა, რომ მმართველს ბიუროკრატის მსურს მხოლოდ თავისი თავის წოდების მატერიალური ინტერესები უზრუნველჭყოს.

ს.-დემოკრატები არაშინს არ ერიდებიან, ოღონდ თავისი თავი აღამაღლონ და სხვები ყველანი უზომოდ დაამცირონ. ბურჟუაზიულ პარტიებს რომ არ ერიდებიან, — ეს ხომ ვიცით: მათთვის არავითარი გარჩევა არაა ხულიგანურ და დემოკრატიულ პარტიებს შორის; მაგრამ სოციალისტურ პარტიებსაც რომ ამგვარავე ეპყრობიან? აი, სხვათა შორის, რას ვკითხულობთ „ტოვარიშში“:

„გაზეთ „ბოლშევიკთა“-მა (ბოლშევიკების ორგანო) ამ დღეებში თავის მკითხველს დაურბო ფურცელი სათაურით: „ვინ უნდა აირჩიოთ სათათბიროში? ფურცელი ცალკე გამოვიდა და მრავლად ვრცელდება ხალხში. ბოლშევიკების (მარტო ბოლშევიკების?) მოუხეშავ გონებაში ყველა პარტიები სამ ნაწილად იყოფება: პირველი—შავ-რამელიები, მეორე—კადეტები, და მესამე—სოციალ-დემოკრატები. პირველ ჯგუფში ჩარიცხულია „მშვიდობიან განახლების პარტია“; რა იქნენ სხვა სოციალისტური პარტიები, გარდა ს.-დემოკრატებისა, არავინ იცის; ალბათ, ისინი კადეტების ჯგუფშია შეტანილი. ასეთ უმსგავსო დაყოფას ყოვლად შეუწყნარებელი დახასიათებაც მოსდევს პარტიებისა. მაგალითად, მშვიდობიან განახლების

პარტიამე ნათქვამია, რომ პარტია თანაგრძობის სამხედრო-სავლელ სასამართლოებს, „პარომებს“ და სხვა. როგორც არ უნდა ეპყრობოდეთ ამ პარტიას, სწორეთ საზიზღარია ს.-დემოკრატების ცილის წამება... ნუ თუ ასეთი გულუბრყვილო ჭონიათ ეს-დევებს ხალხი, რომ ყოველგვარ სიცრუეს დაიჯერებს...“

ჭონიათ თუ არ ჭონიათ, სწორედ აღმშფოთებულია. რომ პარტია კადრულობს ხალხის „მოლორებას“, მოტყუებას მხოლოდ იმიტომ, რომ მეტი ხმა მოიბოვოს არჩევნებში... („მეგობარი“)

წერილი რედაქციის მიმართ.

მ. რ! მდგდეღმა შეღიტან სმარადხან ძემ კელენჯერიძემ გამოამგზავნა, 1903 წელს ზრგრამმა რომელითაც მოხვდა დემოკრატ ცნოვრებს ნეტარსენებულის კაბრელ ეპისკოპოსისა. იგი იწერებოდა, რომ მსურს შევადგინო წიგნი კაბრელ ეპისკოპოსის ცნოვრებისა. მსთან იწერებოდა, რომ, რადც იმ წიგნის დაბეჭდვას ბევრი ფულბა მოუნდბა შემწიობას თხოვდა. შე ავვისტოს თვეში რც ვიდოდა მისა შეუფების ცნოვრების მავწოდე და მისთან შემწიობატ წარუგსაყე სუთი მანეთი. მვრამ მს აქეთ კადის ავერ თხთა წელი მეტი ამ წიგნის შედგენსხედ არაფერი ხმა არ ისმის, ამისათვის უმორჩილესად ვთხოვ ეს ჩემი წერილი დაბეჭდოთ თქვენს ზატეცემულ ჟურნალს „მწეშის“-ში იმედია მსუსეს გავგეშემ მამა მეღიტანა და თუ აღთქმულ წიგნის დაბეჭდვას ვერ მოახერხ მამინ სუთ მანეთს და ვასალს გამოამგზავნა ერთი ცალი მანეტ უნდა მიეღო... ამისთანა საქცილით ჩვენ ხალხს ყველაზე ვარგებთ რწმენა და ნდობა.

თქვენა: მდ. აღ. შარბაძე.

*) ვასკვირვერია ზოკირთი კაცის საქციელი! მ. მ. კელენჯერიძემ მოკლე წიგნაკი ყოვ. სამღვდლო გარბილის ცნოვრებაზე ვგონებ უკვე დაბეჭდა. რიკი და მაროხელი იყო ზუთი მანეთის და მასალს გამოამგზავნა ერთი ცალი მანეტ უნდა მიეღო... ამისთანა საქცილით ჩვენ ხალხს ყველაზე ვარგებთ რწმენა და ნდობა.

რედაქ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * * **მოკლულ-დაჭრილთა სტატისტიკა.** რუსეთის გაზეთები საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემენ იმის შესახებ, თუ ათი თვის განმავლობაში (1905 წლის თებერვლიდან 1906 წლის ნოემბრის გასულამდე) მთავრობის რამდენი მომხრე მოუკლავთ და დაუჭრიათ. ამ სტატისტიკით, გენერალ-გუბერნატორია და გრაღონაჩალინიკი მოუკლავთ და დაუჭრიათ 67, ისპრაენიკი, ბოქაული და ოკოლოდოჩნი—315, პოლიცემისტერი და მისი თანაშემწენი—57, პოლიციელი—347, „ოხრანი“ განყოფილების და ეანდარმის აფიცერი—47, უბრალო ჟანდარმი—95, «ოხრანი» პოლიციის აფენტი—74, არმიის და გვარდიის ოფიცერი—124, უბრალო ჯარის კაცი—382, სამოქალაქო უწყების მოხელე—215, სასულიერო პირი—53, სოფლის მოხელე—68, მემამულე—73, მექარხნე-მეფაბრიკე და მათი მალღ სამსახურის კაცი—117, ბანკირი და მსხვილი მოვაჭრე—72, სულ 2,106 კაცი; ამ ხნის განმავლობაში ხალხიდან, ოფიციალურის ცნობებით მოკლულ და დაჭრილ იქნა 32,706 კაცი.

* * * **რუს. ვეღ.** და სხვა სატახტო ქალაქის გაზეთები სწერენ: «საბოლოოდ გადაწყდა, საკითხი კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ვორონოვ-დაშკოვის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. კანდიტატებად კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობაზე ასახელდებენ გენერლებს კუროპატკინს და მიშენკოს». როგორც ვიცით, ამ ორმა გენერალმა თავი ისახელა მანჯურიაში, იაპონიასთან ომის დროს. ეს ცნობა ტყუილი გამოდგა როგორც ამ ბოლოს გამოცხადდა.

* * * **ღებულებში უკვე იყო მოხსენებული, რომ ქუთაისის გუბერნატორად და ვიცეგუბერნატორად ამჟოადი სტაროსელსკისა და ყიფშიძის საქმე მოსპობოდ იქნა. ესლა სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ეს საქმე მოუსწავთ ნამესტნიკის თანაშემწის მიკვეიჩის მოწყობილობით, რადგან მიკვეიჩის სტაროსელსკისა და ყიფშიძის მოქმედებაში ვერაფერი დანაშაული ვერ უნახავს და ორივე ნამესტნიკის ინსტრუქციის თანახმად მოქმედებდა.**

* * * **გრაფ ალექსი იგნატიევის მოკვლის დაწვერილებითი ცნობები:** ბუფეტის ოთახში სტოლთან

ისხდნენ გრაფი იგნატიევი, ოსტაშოვის თავადაზნაურთა წინამძღოლი კუშვეელი, ხმოსანი თავდი პუტიატინი და მემამულე პუსსლოვსკი. ნაშუადღევს ხუთს საათზე გრაფთან ვიღაც უცნობი კაცი მოვიდა, ოთხჯერ რეკოლვერი ესვრობა და მიუცელსა, გულსა და მხარზე დასჭრა. გრაფმა რამდენსამე წუთს კიდევ იცოცხლა და ყოფილ გუბერნატორის ახანჩევსკის ხელში გარდაიცვალა. მკვლელი ბილიარდის ოთახში შევარდა და თავის მოკვლა განიხრახა: ერთხელ გაისროლა, მაგრამ აიცილნა მეორეთ კი მხარში მოირტყა. მკვლელი 22 წლისა იქნება, მუშაა, უბოვეს კლუბში შესასვლელი ბილეთი ზღვეთი კულიკოვის სახელობაზე. მან განაცხადა, რაც მიწოდლა შეგასრულე, ჩემს გვარს არ გეტყვიოთ; მკვლელი ციხის საავადმყოფოში მოათავეს.

* * * **სასამართლომ ადმირალი ნებოგატოვი, სმირნოვი, გრიგორიევი და ლიშინი დამნაშავედ იცნო და სიკვდილით დასჯა მიუსჯა, მაგრამ ამასთან სასამართლომ დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ სიკვდილით დასჯა ათი წლის ციხედ შეეცვალათ და საბოლოოდ მათი ბედის გადაწყვეტა ხელმწიფის მოწყალებობაზე დაეყაროს.** კაპიტანი კროსიგენედიტოვი, არშეაგირი და ლეიტენანტი ფრიდლანსკი დამნაშავედ იქნენ ცნობილნი და მიესაჯათ ციხე: პირველს-4 თვით, მეორეს და მესამეს-3 თვით და მეოთხეს 2 თვით, ორიოლის კომანდირი და აფიცრები დამნაშავედ იცნეს და დანაჩენები ვაამართლეს. განაჩენი სასლგაო მინისტრს გარდასცეს ხელმწიფის წარსადგენად.

* * * **დაუხაბარებია უკან ბრუნდებან.** ჩვენ მკითხველებს, ექვი არ არის, ეკოლინებათ დუხაბორების ისტორია. მთელი საუკუნე აწამა მთავრობამ სარწმუნოებისთვის ხალხი და ბოლოს, რუსეთის მტარვლობას რომ ვეღარ გაუძღვს, დუხაბორებმა ამერიკაში გადასახლება არჩიეს. პირველ ხანს ახალ ქვეყანაში გაუჭირდათ, მაგრამ მალე მოწყვენენ და თავიანთი მუყაითობით საქმე კარგათ წაიყვანეს. როგორც ვიცით, დუხაბორებს არა სწამთ კრძო საკუთრება მიწაზე და იარაღზე. კანადაში დუხაბორების კოლონიაში 8,000 სული ყოფილა. ესენი უმთავრესად სასოფლო მეურნეობას მისდევენ. მთელი მამული, აგრეთვე ფული საერთო საკუთრებას შეადგენს. ყველა იმას, რაც ოჯახისთვის საჭიროა,



იძენენ და ამზადებენ განსაკუთრებული წარმომადგენელნი. არაგის არაფერში უარს არ ეუბნებიან. ესეც კია, რომ თვითონ ღუბაზორები თავის ღღეში არა ხარჯვენ იმაზე მეტს, რაც საცხოვრებლად საჭიროა. ღუბაზორებმა იმდენად კარგად წაიყვანეს სასოფლო სამეურნეო საქმე, რომ მომავალ წლიდგან გარედ ვასვლას და გარედ მუშაობას სულ სზობენ. თემს განაგებენ არჩეული კაცები. ღუბაზორებისა 50 სულია. ღუბაზორებს ჰყავთ დიდძალი და ჰქონიათ სამი ქარხანა და აუარებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი. თუმცა ესე კარგად მოეწყვენ ღუბაზორები, მაგრამ უტორო ქვეყანაში მაინც ფული არ უღებთად და უკან, რუსეთშივე აპირებენ გადმოსვლას. სარწმუნოების საქმეში თავისუფლების დამყარების შემდეგ ღუბაზორებს იმედი აქვსთ, რომ რუსეთში მათ ღვენასა აღარ ნოვლიან. ღუბაზორების წარმომადგენელს ვერიგინს, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგშია, უწყვე აღუძრავს შუამდგომლობა გადმოსახლების ნებართვის შესახებ.

* * * მუშების დათხოვნა. რკინის გზიდან დიდძალ მუშას ითხოვენ. მთავარ სახელოსნოებში მუშაობა შეუძლირებათ, რადგან ვგონებს ესლა თურმე სხვა გზებზე გზავნიან შესაკეთებლად. დათხოვნა დაიწყება 24 დეკემბრიდან. ჯერ დაითხოვენ იმათ, ვინც წელს მიუღლით სამსახურში და აგრეთვე იმათ, ვინც დეკემბრის გაფიცვის გამო დაითხოვეს და მერე ხელ-ახლა მიიღეს. ანგარიშს ყველა ამათ 23 დეკემბერს გაუსწორდებიან. მერე თანდათან სხვების დათხოვნასაც შეუდგებიან.

* * * 14 დეკემბერს დილის 9 საათზედ პოლიცია-ყაზახებით მივიდა მდათოვის კუნძულზე ზ. ქიქინაძის სტამბაში („სორაპანი“) და გამოუცხადა, რომ გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით სტამბა, სამხედრო წესის მოხსნამდე დაიკეტა. ამას თან სტამბას მიაციენეს ორი დროგი, დაუდეს ზედ ასოებით სავსე კასები და გაზეთ „კავკ. ნედელთას“ მთელი აწყობილი ნომერი და წაიღეს საკომენდანტო სამმართველოში. ამასთანავე დაპატიმრეს სტამბის პატრონი ზ. ქიქინაძე, გამგე სტამბისა მიხეილ გაჩეილიძე და ორი კაცი სტამბაში მომუშავე,

* * * ლოტომ აქაურ კლუმშიაც მოიკიდა ფეხი და ვინ გინდათ, რომ არ თამაშობდეს—ქალი, კაცი,

მოხუცი, ყმაწვილი, მასწავლებელი და მოსწავლე. ოთხშაბათობით და შაბათობით კლუბის დარბაზი გაქვდილია ხოლმე ხალხით იმის მოლოდინში, რომ აღნდ იქნებოდა თუ გოვან მოესწორობინ ლოტომ თამაშს. ხშირად ლოტომ მოთამაშეთა შორის მოსწავლე ახალგაზღობა ურევია და ასე გაისინჯეთ თეთრ „ველერიანიბიცი“—კი არიან ხოლმე. ნუ თუ კლუბის ადმინისტრაციას არ ესპის, რა გამათახსირებელი გავლენა აქვს ამ მოვლენას ახალგაზღობაზე? საზოგადოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ლოტოსი და ბანქოს თამაში ქუთაისში გადამდებენად არის ვადაქველანი. მოსწავლე ახალგაზღობის უმეტესი იწვილით თავის ძმობილებს მსგავსად სავანებოდ ნაკრიბება, რომ გონების წვრთნისა და ვარჯიშობის ნაცვლად ქალაქი ითამაშოს და ერთმანეთს ფული მოუგოს.

* * * დ. ახალ-სენაკში შემდგარა სამეურნეო ცოდნით აღჭურვილ ახალ-გაზღობის ამხანაგობა, რომელსაც აზრად აქვს მურწრობის განვითარება და ჯაუშჯობებისეული კულტურის შეტანა სამეგრელოს მეურნეობაში. ამხანაგობას მიუშობისას სახელმწიფო ქონებათა გამეჯობისათვის დახმარების აღმოსაჩნდა, როგორც მატერიალურად, ისე საქირო ცნობების მიწოდებით.

* * * „ქიათურაში არის ერთი ახალ-გაზდა, საქონლის სადგურის კასისრი. ამ ვაგებატონმა ლამის არის გააკოტროს ქიათურის ვაჭრები. როდესაც შემოაკლდება კასის ფული, ჩამოივლის ბაზარს და ზოგს ნებით, ზოგს ძალით ართმევს ფულს, და ასე და ამ რიგად შეავსებს ხოლმე კასისს, რომ სამსახურიდან არ დაითხოვონ და სამართალში არ მისცენ. ორი თვის წინად შამოხეხარჯა 75 მან. კასის ფული. ჩამოიარა მათხოვარსავით ბაზარ ბაზარ და დაუწყყო თხოვნა ვაჭრებს, 75 მანეთი გადასყვა ვილცა საქონლის გამომწერზედ და უკიდურესს მდგომარეობაში ვარ, რადგან ფული არა მაქვს, რომ შევამსო კასსო. ვაჭრებსაც შეეკოდათ, ეგონან მართალს ამბობდა და ზოგმა ნან, ზოგმა ორი მანეთი გაიღო და შეუესეს 15 მან.—განვლო დრომ და კიდევ დაეჯღანა ვაჭრებს, კიდევ ვადამიყვა ფული, თუმცა ნაკლებიო. იგიც შეუესეს. ამით წახალისებულმა ვაგებატონმა ამ რამდენისამე დღის წინად ჩამოიარა ბაზარი და მოითხოვა 200 მან. ყველას ეუბნებოდა, მორგებულის კლიტი

გამიღეს უშველებელი რკინის კასა კანტორაში და ამომაცალეს 200 მან., სადაც ამის გარდა კიდევ ყოფილა დღიური 7000 მან. გაუქვებია თვითონ განაწილების ფურცელი, ვინ რამდენს უნდა შეეწიოს და ზოგზე თუმანი გაუწერია, ზოგზე 5 მან. იმასაც აღარ კითხულობს, აძლევენ თუ არა და თვითონ, როდესაც ვაჭარი ნოქარს ჰგზავნის სადგურზე საქონლის გამოსასყიდად, იქვე იქერს შეწერილ ფულს. მე ჩემის მხრით ძალიან მაკვირვებს ვაჭრების ასეთი გულუბრყვილობა, ყველამ კარგად იცის, რომ ამ ვაჭარს არაფერი დაჰკარავია და არც დაჰკარავს. ისიც ყველამ კარგად იცის, რომ იგი ძლიერ მისდევს ქალაქის თამაშს. („მეზარი“)

* * * საღამოს 8 საათზე და 50 წუთზე რკინის გზის სადგურზე ყუბმარის საშინელი ხმა მოისმა. იქაურობა ბოლოში გაეხვა ალი ძლიერ შორიდან სჩანდა. კარები ჩამოვარდა, ბევრი შუშა ჩაიღეწა, მგზავრი, რომელსაც მიჰქონდა ყუბმარა, აღბად ლუკმა ლუკმად იქცა. სადგურზე ნივთებით მოვაჭრე ქრილობისაგან იქვე მოკვდა, აგრეთვე ერთი ფერაშლი ქალი და ბარგის მზიდავი. ბევრი დაჭრილი შიშით სადგურიდან გაიქცა. ვიღამაც „ურა“ დაიყვირა, მგზავრებმა იგი დაიჭირეს.

* * * სატახტო ქალაქის გაზეთებში ეკითხულობთ: „ამ ცოტახანში უნდა მოხდეს რეფორმა კავკასიის მართვა გამოეგობის საქმეში. ნამესტნიკის თანამდებობა უქმდება და ხელახლა წესდება ჯარის უფროსის და სამოქალაქო ნაწილის მთავარ-მართებლის თანამდებობა, გრ. ვორონცოვ-დაშკოვის იწვევენ კავკასიიდან“.

* * * როგორც ვწერდით, გიორგი ჰაელეს-ძე მისურაძე, რომელსაც აბრალებენ პოლიციელის პოპოვის მოკვლას (24 ნოემბერს) და პოლიციელის ულანოვის მარტას, სამხედრო საველე სასამართლოში მისცეს. სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა, რაც სისრულეში მოიყვანეს 9 დეკემბერს, გენ.-გუბერნატორის განკარგულებით სამხედრო-საველე სასამართლოში მისცეს აგრეთვე ს. კარგარეთელის დამჭერდნი—კოენოს გუბერნიის გლეხი კაზიმირ გარლიუკისი, დიდესტნის შტაბოფრები ალი-შირ-ოღლი და კონსტანტინე ვასილიევი. ისინი, როგორც ხმა დადის, გამოტყვიან. სამხედრო-საველე სასამართლოშივე მისცეს ბასილ მისურა-

შვილი, ალექსანდრე კოხაძე, ალექსი აივაზოვი, გიორგი ბაკურაძე და ვლადიმერ ზოსებოაშვილი. ამათ ჰმარალდებათ ტერ-აბრაშოვის ნავთის საწყობის გაძარცვაში მონაწილეობა.

* * * თფ. გენერალ-გუბერნატორმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: „ამ ბოლო დროს თფილისში ხელ-ახლა გახშირდა თანამდებობის კერძო კაცთა მკვლელობანი, ამასთან, როგორც საქმის ვითარებიდან სჩანს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბევრი მკვლელობა ხდება ეგრედ წოდებულ „პარტიულ მიზნით“ მივლენ რა შესაფერი ზომები ამგვარ ბოროტ-მოქმედებათა თავიდან ასაცილებლად და მივეცი რა შესაფერი განკარგულება გარნიზონის ჯარს და ქალაქის პოლიციას, მეტად არ მიმანია განაცხადოთ, რომ მკვლელს შესამსუბუქებელ გარემოებათ არ ჩათვლება წვერობა ამა თუ იმ პარტიისა, სულ ერთია მემარჯვენე თუ მემარცხენე პარტიისა. ასეთი შეპურობილი დამნაშავე უსათუოდ მიტყუებული იქნება სამხედრო-საველე სამართალში.“

* * * ცხარე ბრძოლა სასახლის წრეებში უკვე დამთავრებულია. გაუმარჯვნია ეხლანდელ მინისტრ-პრეზიდენტს სტოლიპინს. როგორც ვიცით, ეს ბრძოლა ორი სამი თვეა, რაც დაწყდა. სასახლის ერთ წრეს არ მოსწონდა ეხლანდელი სამინისტრო—მეტად ლიბერალურიო, და უნდოდა ახალ მინისტრების დანიშვნა. მაგრამ ვერა გაუწყყა რა. სტოლიპინი და მთელი კაბინეტი რჩება.

* * * (ოფიციალური ცნობა). რუსეთ-იაპონიის სავაჭრო ტრაქტატის და თევზის საქერ კონცესიის შესახებ გაზეთებში ერთი მგორის საწინააღმდეგო ცნობები დაიბეჭდა. რუსეთ იაპონიის უთანხმოების მიზეზად ასახელებენ იაპონიის მიერ აივღუნის ხელ-შეკრულების შეცვლას, მდ. ამურის იაპონელებისათვის გახსნას, ვლადივოსტოკიდან ხალტიის ზღვამდე თავისუფალ ვაჭრობის მოთხოვნას და სხვას ნამდვილად კი საქმის ვითარება ასეთია: პორტსმუტის ტრაქტატის თანახმად, ახალ სავაჭრო ხელ-შეკრულების საფუძველად დაელო 1895 წლის ხელ-შეკრულება, რომლის ვადაც ომი რომ არ მომხდარიყო, 1911 წელს გათავდებოდა. იაპონელმბთან ახლად დადებული სავაჭრო ხელ-შეკრულებაც იმავე 1911 წლ. ვადით განისაზღვრება და ამიტომ რუსეთში, თანახმად პორტსმუტის ტრაქტ-



ტატის მე-12 მუხლისა, იაპონიას არავითარი ახალი მოთხოვნები არ წარუდგენია, მხოლოდ მოინდომა იმ უპირატესობის შენარჩუნება, რომელიც ჰქონდა ომამდე ძველის ხელ-შეკრულების ძალით. იაპონია თხოულობს არა თუ იმ უფლებებს, რომელიც 1895 წლის ტრაქტატში არ არის შეტანილი, არამედ ზოგ ახალსაც უმატებს. თავის მოთხოვნას იაპონია ასაბუთებს შორეულ აღმოსავლეთში ამ ბოლოს დროს საქმის ვითარების შეცვლით ახალი ხელ-შეკრულებაც ორივე სახელმწიფოს თანხმობით, როგორც წინანდელი, დამყარებული უნდა იყოს უპირატესობის პრინციპზე, ამიტომ, თუ კი რიგიანი ურთიერთობა მიხერხდებოდა, რუსეთიც იმ შეღავათს, რასაც სხვა სახელმწიფოებს აძლევს, მისცემდა იაპონელებსაც. სწორედ ამის შემუშავებას მოუხდა რუსეთი იაპონიის სავაჭრო კონფერენცია უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში. ამაზე ორივე მხარე შეთანხმდა, გასარჩევია კიდევ იაპონიის ახალი მოთხოვნები: მდ. სუნგარზე (და არა ამურზე.) თავისუფალ ნაოსნობის, შორეულ-აღმოსავლეთში საკონსულოს დაარსების, იაპონელებისთვის რუსეთის აზიაში პასპორტის მიღების ვადილების და მანჯურიის საზღვრებში სადამოჯნო შეღავათის შესახებ. ეს საკითხები არა თუ რუსეთის ეკონომიურ, პოლიტიკურ ინტერესებსაც ენება შორეულ აღმოსავლეთში და ამის განხილვას კონფერენცია ჯერ არ შესდგამია. მხოლოდ მხოლოდ წინაწინ მოლაპარაკება, საქმის გადაწყვეტა პორტსმუტის ტრაქტატის ოქმების რიგინ დახსნაზე დამოკიდებული. რაც შეეხება თევზის ჰერის საკითხს, პორტსმუტის ხელ-შეკრულების მე-11 მუხლის ძალით, რუსეთმა ვალდ დაიღო შეთანხმდეს იაპონიასთან, რომ იმის ქვეშევრდომი თევზის ჰერის ნება მიეცეთ ოხოტსკის, ბერიנגოვის და იაპონიის ზღვის რუსეთის კუთვნილ ნაპირებზე რუსის მთავრობამ, საცემით იგრძნო რა ამ საქმის სიძნელე, შეუძლებლად სცნო იაპონელების მოთხოვნების მიღება მოლაპარაკების დაწყების წინ, რადგან ამის დთმობით იაპონელებს წყნარ ოკეანეს ნაპირებში მეტი უფლება ენიჭებოდა, ვიდრე რუსებს. უმთავრესი ვასაქირი ის იყო, რომ ვერ გადაწყვიტათ, თუ რას ნიშნავდა ტერმინები: „ბოლოზები“ და „მიდინარეები“, რომლებიც, პორტსმუტის ოქმების თანახმად, თევ-

ზის საქერ კონცესიიდან სრულებით უნდა გამოირიცხულიყო. დასასრულ, თვით მრეწველობის საგნების ასახსნულად სპეციალური კომისია შედგარი. ამ საკითხების შესახებ ჯერ არ შეთანხმებულან, მაგრამ საქმე კი ნორმალურად მიმდინარეობს.

* * * მღვდლის სერგეი გოროდნევის დაჭრა. 26 დეკემბერს, ნაშუადღევს ორ საათზე, კუკის სამისიონერო ეკლესიის მახლობლად ვილაც უცნობ კაცებს მიმედ დაუქრიათ ამ ეკლესიის მღვდელი სერგეი გოროდნევი. როგორც ამბობენ, გოროდნევის სამი ტყვია მოხვედრია.

* * * მთავარ სამხედრო მრეწველობის მოკვლა. 27 დეკემბერს პეტერბურგში, დღის 9 საათზე, მთავარ სამხედრო პროკურორის ეზოში რევოლვერით მოპკლეს მთავარი სამხედრო პროკურორი გენერალ-ლეიტენანტი პავლოვი. მკვლელი ახალგაზდა კაცტანთ ეცვა ჩვეულებრივი ფორმა სამხედრო ვადწერლისა. ეზოში შეუშვეს იმიტომ, რომ ხელწერილების დასატარებელი წიგნაკი ეჭირა. ამ წიგნაკში ერთის ხელით მოწერილი აღმოჩნდა როგორც ბართების დასაგზავნი ადრესები, ისე მიმღებთა გვარები. უცნობმა ექვსჯერ ესროლა გენერალს. გენერალი იქვე მოკვდა, მკვლელი აღაყაფის კარებით გავარდა და პოკლუევის ხიდისაკენ გაემართა. ერთმა პოლიციელმა ეგოროვმა მოინდომა შეპყრობა, მაგრამ უცნობმა ესროლა და ორს ადგილამი მიმედ დასტრა. შემდეგ მკვლელი გლინკას ქუჩის მარინის თეატრის მოედანზე გავარდა. პოლიციელები დაედევნენ და სროლა აუტხეს. უცნობს ორევიოლვერი ჰქონდა და ჩვიდმეტჯერ გაისროლა შემთხვევით დაიჭრა ერთი 14 წლის ყმაწვილი და მეორე პოლიციელი. ბოლოს უცნობმა შეიპყრეს. მკვლელი უარზე და თავის ვინაობას არ ამხელს არც სხვა კითხვებზე აძლევს პასუხს. იგი „ოხრანინ“ განყოფილებაში წაიყვანეს. გენერალ პავლოვს ექვსი ჰქონდა აღმოჩნდა—ოთხი-მკერდში, ორიც—კეფაში. ყველა ჰქონდა საშინელი. გენერლის გვაში თავის ბინაზე გადაიტანეს და პანაშვილი გადაიხადეს.

